ხელშეკრულება № 60-7-216-851
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კონსოლიდირებული ტენდერი № **CON**150000069)

ქ. თბილისი „10" „ოქტომბერი" 201-წ.

ერთი მხრივ (ს.ს.საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა) , შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის-*(გიორგი შარკოვის)* სახით და **მეორე მხრივ** **შპს რომპეტროლ საქართველო** შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის - გენერალური დირექტორის კაირატ კაბილოვის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, ,,ნავთობპროდუქციის (საწვავის)კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის #11 ბრძანების, „2016 წელს ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 დეკემბრის №2584 განკარგულებისა და 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - ***დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან*** სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში - ხელშეკრულება) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე იმ დოკუმენტებით და დანართებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება" - საერთო თანხა, (შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა გამრავლებული 1 ლიტრი საწვავის სავარაუდო ფასზე) რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საწვავი" - დიზელი (**09100000** - საწვავი) Efix Euro Diesel (არაუმეტეს PPM10)
1.7 ავტორიზებული ავტომანქანა - შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც შემსყიდველმა უნდა მოახდინოს საწვავის მოხმარება და მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე გამართვა.
1.8 ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (შემდგომში - აგაი სისტემა) - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მიმ წოდებლის ავტოგასამართ სადგურზე *საწვავის* ჩასხმას მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.
1.9 სატენდერო დოკუმენტაცია - 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის - ***დიზელი (არაუმეტეს 10 PPM) გატანა ავტოგასამართი სადგურიდან*** - სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის“ მიერ *საწვავის* შესყიდვა ეტაპობრივად წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საწვავი: *Efix Euro Diesel* რომლის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 200 000*(ორასიათასი)* ლიტრს.
2.3. შესასყიდი საწვავის საორიენტაციო რაოდენობა, სახეობა, ერთეულის ფასი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ №1-ში, ავტორიზებული ავტომანქანების ჩამონათვალი და სხვა მონაცემები მოცემულია დანართ #2-ში, ხოლო აგს-ების ჩამონათვალი მოცემულია დანართ #3-ში. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, მიუხედავად მისი დამოწმება/ ხელმოწერისა.
2.4 აგაი სისტემის დანერგვის შემდეგ, საწვავის შეძენა უნდა განხორციელდეს - აგაი სისტემის საშუალებით, მხოლოდ იმ ავტორიზებული ავტომანქანებისთვის რომლებიც მითითებულია ხელშეკრულების N2 დანართში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა. საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების N3 დანართით განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.
2.5 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი *საწვავის* მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
2.6. წინამდებარე ხელშეკრულებაში შესული ცვლილება ავტომატურად იწვევს შესაბამისი დანართების შესაბამის ცვლილებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს 286000 (ორასოთმოცდაექვსიათასი) ლარს.
3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საწვავის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

4. შესყიდვის ობიექტის ფასის განსაზღვრა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 მიმწიდებლის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$Z=C_{bid} /(R_{nov}*(D/1000)*(100\%+18\%)) - P_{nov}$

რომელშიც: C_{bid} - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ *საწვავის* (ლარში); R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი *საწვავის* სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3); 18% - დღგ; P_{nov} - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2014 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული). Z და D სიდიდეები უცვლელია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების განსაზღვრას (შემდგომში - ნომინალური ღირებულება - C_{nom}) შემდეგი ფორმულის მეშვეობით: $C_{nom} =R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$

სადაც: P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს; Z და D – 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ *საწვავის* სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასსა (P) ან/და ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R) დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია ვებ გვერდზე pricerompetrol.ge -ზე გამოაქვეყნოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C_1). აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველი ორგანიზაცია ინფორმირებულია და წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს რომ ინფორმაციის მიღების ზემოხსენებული ფორმა მისთვის მისაღებია.

4.4 2016 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი *საწვავის* საბოლოო ფასის (C_{bid}) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ სამუშაო დღეს, განსაზღვრავს 1 ლიტრი *საწვავის* მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ღირებულების (C_{nom}) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი *საწვავის* ნომინალური ღირებულების (C_{nom}) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C_1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი *საწვავის* საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

მაგალითი:
მიმდინარე თვე არის მარტი, საანგარიშო თვე არის თებერვალი, ხოლო საანგარიშო თვის წინა თვე არის იანვარი. შესაბამისად, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში თებერვლის თვეში ერთი ლიტრის საშუალო ფასი იანვრის ანალოგიურ ფასთან მიმართებაში შემცირებულია 10%–ზე მეტით, მაშინ მარტის თვის C_1 უნდა იყოს თებერვლის თვის საშუალო არითმეტიკულ ფასზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C_2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4.6 ანგარიშსწორებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:
ა) „აგაი" სისტემის ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით *საწვავის* შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებული საწვავის *საწვავის* შესაბამისად. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის

განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი *საწვავის* ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (C_{AV}).

ბ) საწვავის ტალონური სისტემით შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა მოხდება საანგარიშო თვის განმავლობაში შემსყიდველის მიერ მოხმარებული საწვავის შესაბამისად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის თორმეტი რიცხვისა. აღნიშნულ შემთხვევაში საწვავის ერთეულის ფასი არის მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირებული ფასი, რომელიც დგინდება აქტის გაფორმების დღეს.

4.7 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე და „აგაი" სისტემის მეშვეობით *საწვავის* მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

4.8 2016 წლის დეკემბრის განმავლობაში მიწოდებულ საწვავზე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურები შესაძლებელია განხორციელდეს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
4.9 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი *საწვავის* მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C_1), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. პუნქტში მითითებულ ვებ გვერდზე.
4.10 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშკერულების 4.3. პუნქტში მითითებულ ვებ გვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *საწვავის* ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების

ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა.

4.11 იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.3 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასზე დაყრდნობით.

მუხლი 5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ოდენობის საწვავის მიწოდება შემსყიდველისთვის.
ბ) „აგაი" სისტემის კომპონენტები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, ერთჯერადად დამონტაჟებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შემსყიდველ ორგანიზაციას მათ ავტორიზებულ ავტომანქანებზე დამონტაჟების გზით. მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ვალდებულია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან მიმწოდებელის მიერ მითითებულ დროსა და ადგილას განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები (მათ შორის ავტომანქანის მიყვანა) მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი იქნა გამარჯვებული 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში, როგორც *საწვავის* მიმწოდებელი, ის არ არის ვალდებული განახორციელოს აგაი სისტემის დემონტაჟი. აგაი სისტემის კომპონენტების დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის ვალდებული უსასყიდლოდ განახორციელოს ახალი კომპონენტის მონტაჟი. აგაი სისტემის კომპონენტის ხელმეორედ მონტაჟის ღირებულება შეადგენს 50 ლარს, მომსახურების ღირებულებისა და დღგ-ს ჩათვლით. მიმწოდებელი არ არის ვალდებულია აგაი სისტემის

მონტაჟი განახორციელოს იმ ავტორიზებული ავტომანქანებისთვის, რომლებსაც 2014 და 2015 წლის შესაბამისი ტენდერის ფარგლებში უკვე დაუმონტაჟდათ აგაი სისტემა.
გ) შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ავტოგასამართ სადგურზე პლასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენისთანავე, ან „აგაი" სისტემის შემთხვევაში - ავტოგასამართ სადგურებზე ავტორიზებული ავტომანქანის მისვლისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი საწვავით, თუ ამ პერიოდში არ მიმდინარეობს ავტოგასამართ სადგურზე შესაბამისი საწვავით საწვავის ავზის შევსება (საწვავის გაცემისას ხურდის სახით თანხის ან ტალონის დაბრუნება არ დაიშვება).

დ) მიმწოდებელი ვალდებულია ბარათი შემსყიდველს უსასყიდლოდ დაუმზადოს ერთჯერადად, ბარათის დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს განმეორებითი ბარათის დამზადება, აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ბარათის ღირებულება 15 ლარის ოდენობით (ღირებულება შეიცავს დამზადების მომსახურებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომლის გადახდის ვალდებულებაც ეკისრება მიმწოდებელს).
ზ) წარუდგინოს 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშ-ფაქტურა შემსყიდველ ორგანიზაციას.
თ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება დაუყოვნებლით, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.
ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ ხელშეკრულების N3 დანართით, გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.
გ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.
5.3 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებითანავე წარუდგინოს მიმწოდებელს ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრები. ასევე, წარუდგინოს იმ ავტორიზებული ავტომანქანების სია რომელზეც უნდა მოხდეს აგაი სისტემის დამონტაჟება. აგაი სისტემის დამონტაჟების შემთხვევაში უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მითითებულ ადგილას მისი ავტორიზებული ავტომანქანების მიყვანა. პლასტიკური ბარათების გაცემის და აგაი სისტემის დამონტაჟების პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები არ შეესაბამება პარამეტრებს, რომლებიც საჭიროა აგაი სისტემის დამონტაჟებისთვის, შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ავტომობილის ტექნიკური გამართულობა და შესაბამისობაში მოყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში აგაი სისტემის დაუმონტაჟებლობის გამო მიმწოდებელს ეხსნება პასუხისმგებლობა. ასევე, იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველის მიერ არ განხორციელდა დროულად ან/და საერთოდ არ განხორციელდა ავტომანქანის მიყვანა მიმწოდებლის მიერ მითითებულ დროსა და ადგილას.
ბ) აკონტროლოს ავტორიზებული ავტომანქანების ლიმიტები მიმწოდებლის შესაბამის სისტემაში, მიმწოდებლის მიერ გადაცემული მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. თავად განახორციელოს საწვავის ლიმიტების ცვლილება, ავტომანქანებისთვის საწვავის მიწოდების დაბლოკვა და ა.შ. მიმწიდებლის შესაბამის სისტემაში განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველს.
გ) ხელშეკრულების შესაბამის დანართში მითითებული ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. ცვლილების (მათ შორის სანომრე ნიშნის ცვლილების) შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ, ცვლილებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის თაობაზე. ავტორიზებული ავტომობილების სიის ცვლილების შემთხვევაში აგაი სისტემის დამონტაჟების ვადებთან დაკავშირებით მხარეები შენხმდებიან დამატებით, მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების 5,1 პუნქტის „ა" ქვეპუნტით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ვადებისა.
დ) ავტომანქანის საწვავით გამართვა განახორციელოს მხოლოდ ხელშეკრულების დანართით

გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.
ე) უზრუნველყოს ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება 4.7 პუნქტით დადგენილი ვადებისა და პირობების შესაბამისად.

ვ) აგაი სისტემის კომპონენტების ან/და ბარათის დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესაბამისი ღირებულება, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან ხუთი დღის ვადაში.

ზ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
თ) შეასრულოს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

<u>5.4 შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:</u>

მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

5.5 კონსოლიდირებულ ტენდერში მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე *საწვავის* მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
5.6. მხარეები ვალდებულნი არიან სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლონ ერთმანეთთან, განიხილონ ერთმანეთის მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდონ წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში წარუდგინოს მას შესაბამისი წერილობითი პასუხი.
5.7. სატენდერო დოკუმენტაციის 7.4. პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ხელშეკრულების გაფორმების ვადების, ბარათის, ტალონის მიწოდების ან/და აგაი სისტემის დამონტაჟების ვადების დარღვევის თაობაზე.

6. საწვავის ხარისხის და ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიას 2016 წლის განმავლობაში სამჯერ, არანაკლებ სამთვიანი ინტერვალით წარუდგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გააჩნია საწვავის ექსპერტიზის სფეროში, გაცემული დასკვნა. გეგმიური ექსპერტიზა შესაძლებელია ჩატარდეს მაქსიმუმ სამ ობიექტზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად. ექპერტიზის ჩატარებისთვის საჭირო ნიმუშის არების ადგილსა და დროს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აღნიშნულის თაობაზე გონივრული ვადით ადრე აცნობებს მიმწოდებელს. შესამოწმებელი პარამეტრები განისაზღვრება ცალკეული შემთხვევებისთვის ცალ-ცალკე.
6.2 შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, რომელმაც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება გააჩნია საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებლისა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა ეჭვქვეშ

დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა).

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს ავტორიზებული ავტომანქანების დაზიანების ფაქტსა და საწვავის ხარისხის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის თაობაზე, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოსთხოვოს მიმწოდებელს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება კომისიის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და სატენდერო კომისიისთვის შედეგების წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ერთმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

8.2 კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი *საწვავის* ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი)*საწვავის* საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

8.3. შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობა, ცვლილებების ან/და დამატების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება წყდება ავტომატურად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისთანავე.

10.2. *<u>წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:</u>*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10.4. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

11. დავების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

12.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და იგი ძალაშია 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 4.7 პუნქტი ძალაშია 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსიტემა“
ს/კ 204995176
ტელ:577240305
ბანკის კოდი: LBRTEGE 22
ანგარიშის № GE86LB0114144485353000
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი შარკოვი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602
გენერალური დირექტორი
კაირატ კაბილოვი

დანართი №1

2016 წლის "10" ოქტომბერი" №

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	საორიენტაციო რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო საორიენტაციო ღირებულება	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადები
	Efix Euro Diesel	არაუმეტეს PPM 10	რუმინეთი	200 000 ლიტრებში	1.43	286000 ლარი	ავტოგასამართი სადგურები თანდართული სიის მიხედვით	10.10.2016-დან 31.12.2016-მდე

შემსყიდველი:

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსიტემა"
ს/კ 204995176
ტელ:577240305
ბანკის კოდი: LBRTEGE 22
ანგარიშის № GE86LB0114144485353000
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეების შემსრულებელი
გიორგი შარკოვი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო"
ს/კ 204493002
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორი
კაირატ კაბილოვი

დანართი №2

ავტომანქანების მონაცემები და საწვავის ლიმიტები (ლიმიტების მოცულობა საორიენტაციო ხასიათს ატარებს და შესაძლებელია შეიცვალოს მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებული წესით, კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით და არ საჭიროებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას) Nikoloz.Dokhnadze@gse.com.ge საკონტაქტო პირი ნიკოლოზ დოხნაძე ნომერი: 577240305

№	სახ №	ა/მანქანის მარკა	საწვავის სახეობა	შენიშვნა (აგაი ან ბარათი)
1	GSE-404	TOYOTA LANDCRUISER 105	ევრო დიზელი	აგაი
2	VV-793-OO	TOYOTA LANDCRUISER LC200	ევრო დიზელი	აგაი
3	GS-100-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
4	VO-300-LT	TOYOTA LANDCRUISER	ევრო დიზელი	აგაი
5	MPM-744	NISSAN NAVARA	ევრო დიზელი	აგაი
6	LG-606-GL	VOLKSWAGEN AMAROK	ევრო დიზელი	აგაი
7	OO-027-GG	VOLKSWAGEN AMAROK	ევრო დიზელი	აგაი
8	FFT-945	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
9	WD-441-WD	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
10	ZZI-277	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
11	ZZI-557	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
12	ZZI-558	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
13	MIS-371	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
14	MIS-241	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
15	MIS-261	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
16	MIS-251	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
17	MIS-431	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
18	MIS-381	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
19	YGL-133	KAMAZ 53215	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
20	LDL-876	KAMAZ 43118	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
21	NHN-663	KAMAZ 6520	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
22	ZDZ-862	KAMAZ 65115	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
23	OCO-173	KAMAZ 43114	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
24	OCO-137	KAMAZ 6520	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
25	OCO-174	KAMAZ 65201	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
26	TWT-663	KAMAZ 43118	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
27	TWT-761	KAMAZ 53229	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
28	SSD-675	KAMAZ 65225	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
29	SSD-694	KAMAZ 43114	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
30	SSD-695	KAMAZ 43114	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
31	FF-601	JCB 3CXSM	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
32	FF-812	JCB 3CXSM	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
33	JOI- 670	FORD KARGO 2524	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
34	ZQZ-790	FORD TRANSIT	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
35	ISS-379	KAMAZ 43114	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
36	PQP-093	HOWO SINOTRUK 228	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
37	IIV-975	KAMAZ 43118	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
38	GS-001-EI	MAN TGM13.240	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
39	BB-943-SS	KAMAZ 43118	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
40	OO-023-GG	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი

41	OO-032-GG	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
42	GS-400-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
43	BB-652-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
44	GS-004-EI	MAN TGM13.240	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
45	GS-500-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
46	BB-653-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
47	GS-005-EI	MAN TGM13.240	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
48	NAU-836	KRAZ KS4561A	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
49	TJT-375	MAZ 555102	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
50	BB-244	JCB 3CXSM	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
51	GS-600-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
52	BB-654-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
53	GS-002-EI	MAN TGM13.240	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
54	IIV-978	KAMAZ 43118	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
55	BB-934-SS	KAMAZ 43114	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
56	ZZI-878	MITSUBISHI L-200	ევრო დიზელი	აგაი
57	BSB-208	MAZ 5337	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
58	UGU-501	MAHINDRA BOLERO	ევრო დიზელი	აგაი
59	YGL-132	KAMAZ 53215	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
60	ZQZ-890	FORD TRANSIT	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
61	GS-700-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
62	BB-655-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
63	TJT-374	MAZ 555102	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
64	BB-015	MST M542	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
65	ZIZ-144	MAZ 5337	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
66	FFS-123	KAZ 4440	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
67	GS-300-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
68	BB-651-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
69	GS-003-EI	MAN TGM13.240	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
70	GS-200-EI	TOYOTA HILUX	ევრო დიზელი	აგაი
71	BB-650-VV	KIA K2700	ევრო დიზელი	აგაი
72	YGL-134	KAMAZ 53215	ევრო დიზელი	აგაი ან ბარათი
	8 ერთეული უნომრო ბარათი		ევრო დიზელი	ბარათი

შემსყიდველი:

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსიტემა“
ს/კ 204995176
ტელ:577240305
ბანკის კოდი: LBRTEGE 22
ანგარიშის № GE86LB0114144485353000
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი შარკოვი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

ტელ. 2910727/78
გენერალური დირექტორი
კაირატ კაბილოვი

"რომპეტროლ საქართველო"-ს ავტო-გასამართი სადგურები

თბილისი და რეგიონები

#	ა.გ.ს	ა.გ.ს მისამართი	ავტომატ იზაცია	Efix Euro Premium	Euro Regular	Efix Euro Diesel
1	სამგორი 1	კახეთის გზატკ. მეტრო სამგორის მიმდ. ტერიტ.	კი	კი	კი	კი
2	ნუცუბიძე	ნუცუბიძის ქ. №1	კი	კი	კი	კი
3	ჯავახეთი	ჯავახეთის ქ. №20	კი	კი	კი	კი
4	ვარკეთილი	ვარკეთილი, ბაზრის მიმდებარე ტერიტორია	კი	კი	კი	კი
5	ჰესი	ორთაჭალის ჰესის მიმდებარე ტერიტორია	კი	კი	კი	კი
6	სააკაძე (გპი)	სააკაძის მოედანი (სტუ-სთან)	კი	კი	კი	კი
7	მეტეხი	300 არაგველის ქ.№1 (მეტეხი)	კი	კი	კი	კი
8	ისანი	ქეთევან წამებულის გამზ. ბაზრობის სამხრეთ შესასვლელთან მიმდ.	კი	კი	კი	კი
9	პიკეტი	დღებუაძისა და კვამლის ქუჩების გადაკვეთა	კი	კი	კი	კი
10	გლდანი	შეშელიძის ქ.№ 50	კი	კი	კი	კი
11	ქავთარაძე	ქავთარაძის ქ № 1ა	კი	კი	კი	კი
12	ნაციონალი	აღმაშენებელის გზატკეცილი 9-ე კილომეტრი	კი	კი	კი	კი
13	დიდუბე	დიდუბე, რობაქიძის გამზირი	კი	კი	კი	კი
14	ბაგები	ბაგები, ჭავჭავაძის გამზ. № 75 ა	კი	კი	კი	კი
15	ზ-მ-კ	ბოგდან ხმელნიცკის ქ № 48	კი	კი	კი	კი
16	გელოვანი	გელოვანის გამზ № 36	კი	კი	კი	კი
17	გელოვანი 2	გელოვანის გამზ ვეფხი და მოყმის მიმდებარედ	კი	კი	კი	კი
18	სანზონა	გურამიშვილის გამზ 3/8	კი	კი	კი	კი
19	სანზონა 2	გურამიშვილის გამზ № 64	კი	კი	კი	კი
20	სამგორი 2	ჯორჯ ბუშის გამზ. (დასაწყისი)	კი	კი	კი	კი
21	ფეიქრები	ქსნისა და ფეიქრების ქ. გადაკვეთა	კი	კი	კი	კი
22	დიღომი 3	ქ. თბილისი ს. დიღომი	კი	კი	კი	კი
23	დიღომი 1	აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ.	კი	კი	კი	კი
24	მცხეთა	მცხეთა, ნარეკვავი	კი	კი	კი	კი
25	ნატახტარი	მცხეთა, ნატახტარი	კი	კი	კი	კი
26	მარნეული	მარნეული, 26 მაისის ქ.	კი	კი	კი	კი
27	ხაშური	ხაშური, სტალინის ქ №147	კი	კი	კი	კი
28	ლილო	კახეთის გზატკეცილისა და ცეკავშირის ბაზის კვეთაზე	კი	კი	კი	კი
29	გომბორი	სართიჭალა, კახეთის გზატკ. 27-ე კმ.	კი	კი	კი	კი
30	ბაკურციხე	გურჯაანი, სოფ. ბაკურციხე	კი	კი	კი	კი

31	რუსთავი	რუსთავი, მშენებელთა ქ. № 1	კი	კი	კი	კი
32	გორი	გორი, სოფ. სვენეთი	კი	კი	კი	კი
33	თელავი	თელავი, თბილისის გზატკ. 4-ე კმ.	კი	კი	კი	კი
34	საჩხერე	საჩხერე, სოფ. ჩუხა, თამარ მეფის ქ. № 41	კი	კი	კი	კი
35	ზესტაფონი	ზესტაფონი, თამარ მეფის ქ. 48	კი	კი	კი	კი
36	ქუთაისი	ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. № 8ა	კი	კი	კი	კი
37	ქუთაისი 2	ქუთაისი, 9 აპრილის ქ. 2ა	კი	კი	კი	კი
38	ქუთაისი 3	ქუთაისი, ნიკიას ქ. №12ა	კი	კი	კი	კი
39	ქვიტირი	ქვიტირი, სოფ. ფარცხანაყანები	კი	კი	კი	კი
40	სენაკი	სენაკი, მშვიდობის გამზ. №172	კი	კი	კი	კი
41	ზუგდიდი	ზუგდიდი, სოხუმის ქ. №69	კი	კი	კი	კი
42	ფოთი	სამეგრელოს მოედანი	კი	კი	კი	კი
43	ლანჩხუთი	ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.№ 24	კი	კი	კი	კი
44	ოზურგეთი	ოზურგეთი, დავით აღმაშენებლის ქ. №121	კი	კი	კი	კი
45	ქობულეთი	ქობულეთი, რუსთაველის ქ. № 170	კი	კი	კი	კი
46	ჩაქვი	ჩაქვი, თამარ მეფის № 9ა	კი	კი	კი	კი
47	ბათუმი 1	ბათუმი ხახულის ქ № 8	კი	კი	კი	კი
48	ბათუმი 2	ბათუმი, სოფ, ანგისა	კი	კი	კი	კი
49	ხელვაჩაური	ხელვაჩაური	კი	კი	კი	კი

შემსყიდველი:

ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსიტემა“
ს/კ 204995176
ტელ:577240305
ბანკის კოდი: LBRTEGE 22
ანგარიშის № GE86LB0114144485353000
მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
გიორგი შარკოვი

მიმწოდებელი:

შპს „რომპეტროლ საქართველო“
ს/კ 204493002
ტელ. 2910727/78
სს ვითიბი ბანკი
ა.ა. GE79VT6600000090303602

გენერალური დირექტორი
კაირატ კაბილოვი